ნოდარ შენგელია

# ოსმალური არზები ქუთაისის ციხის შესახებ

ქვემოთ ვაქვეყნებთ ოსმალური დოკუმენტების ერთ-ერთი ტიპის — არზის ნიმუშებს. არზები ქუთაისის ციხის სახელზეა შედგენილი ოსმალეთის საფინანსო უწყების მიერ და მრავალ საინტერესო დეტალს შეიცავენ. ეს დოკუმენტები ინახება ბულგარეთში, ქ. სოფიის კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის სექტორის არქივში. ასეთი დოკუმენტები იწერებოდა შავი მელნით, დაახლოებით 24—25×32—33 სმ მოსქო, თეთრ ქაღალდზე.

არზებში გადმოცემულია ქუთაისის ციხეში მდგარი ოსმალთა ლაშქრის სხვადასხვა სახეობის — იანიჩრების, თოფჩიების, ჯებეჯიების — მეთაურთა თხოვნა ხელისუფლებისადმი ციხეში ჩაყენებული ოსმალთა ლაშქრის შესანახად სახელმწიფოს მიერ სათანადო თანხის გამოყოფის თაობაზე. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ოსმალთა სახელმწიფოში საფინანსო უწყების სხვადასხვა ინსტანციებში არზების მოწონებისა და შესაფერისი მოსაზრებების — მინაწერების გაკეთების შემდეგ საბოლოოდ გამოიყოფოდა გარკვეული თანხა ქუთაისის ციხეში მყოფი ლაშქრის შესანახად ან გამოსაზამთრებლად. ოსმალეთის საფინანსო უწყებას ზუსტად ჰქონდა დაანგარიშებული ამა თუ იმ ციხეში რამდენი ჯარისკაცი იდგა, რა სახეობას ეკუთვნოდა იგი და თითოეულ მათგანზე დღეში რა თანხა იხარჯებოდა. ასევე იყო დაანგარიშებული მთელი თანხა იმის მიხედვით, რამდენ ხანსაც უხდებოდა ლაშქარს ციხეში ყოფნა.

არზები საგანგებო ფორმით დგებოდა. მარცხენა ქვედა მხარეზე იწერებოდა ძირითადი ტექსტი — თხოვნა სულთნისადმი. ამ ოფიციალური თხოვნის სტანდარტულ ტექსტს ხელს აწერდა მონა-მორჩილი, იგულისხმებოდა ამა თუ იმ ციხეში მყოფი ლაშქრის მეთაური. ეს ტექსტი შემდეგ გაივლიდა საფინანსო უწყების მთელ რიგ ინსტანციებს — განყოფილებებს. ყველგან შესაბამისი მინაწერები კეთდებოდა. დოკუმენტის მარჯვენა ზედა მხარეზე მსხვილი ასოებით აღინიშნებოდა: შესაბამისი ადგილი. ე. ი. ადგილი მინაწერებისათვის. აქვე სიაკათის ხელით მიაწერდნენ, რომ ციხეში მყოფი ჯარისკაცები ნამდვილად რეგისტრირებულნი არიან მცველებად, საჭიროა სულთნის განკარგულება. აქვე იყო მითითებული თარიღიც. მთავარ მოანგარიშეს დოკუმენტზე უსათუოდ უნდა აღენიშნა, რომ ჯარისკაცების ციხის მცველებად დანიშვნა ხაზინის დავთარს შეესაბამებოდა.

შემდეგ იქვე დოკუმენტის არეზე მიწერილია პროექტი — თუ რამდენი ჯარისკაცია, რა სახეობას ეკუთვნის, რამდენი თანხა ან პროდუქტია ნავარაუდევი თითოეული ჯარისკაცის შესანახად თვეში ან წელიწადში. შემდეგ დაჯამებულია საერთო თანხა ან პროდუქტების რაოდენობა, რომელიც უნდა გაიცეს ციხის მცველებზე დროის გარკვეულ მონაკვეთში. ჯარისკაცებისათვის

გაცემული ულუფა მარცვლეულის ან პროდუქტების სახით დაანგარიშებულია როგორც თვეების, ასევე მთელი წლის მიხედვით. აქვე აქვს მიწერილი შესაბამისი ღირებულებაც ახჩებით. აუცილებლად აღნიშნულია, რომ ჯარისკაცების მცველებად დანიშვნის შესახებ გაცემულია თესქერე და მათი იქ ყოფნა კანონიერია. აქვეა მითითებული თარიღიც.

უფრო ქვემოთ მიწერილია, რომ ჯარისკაცების შესანახად გამოყოფილი მარცვლეულის ფასების თაობაზე ხაზინის მიერ გაცემულია თესქერე, რომელიც რეგისტრირებულია. საფინანსო უწყების ცალკეული ბიუროების მიერ ჯარისკაცების შესანახი თანხის გაცემის თაობაზე ყოველგვარი მონაცემების წარმოდგენის შემდეგ დოკუმენტის თავზე, მარცხენა მხარეს დიდვეზირის მიერ იწერებოდა დასკვნა — თელხისი. მასში, დოკუმენტის მარჯვენა მხარეზე გაკეთებული ოფიციალური მინაწერების საფუძველზე მოკლედ იყო გადმოცემული საკითხის სისწორე.

დიდვეზირის წარდგინების შემდეგ დოკუმენტის თავზე იწერებოდა რეზოლუცია: „სწორია, თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება". იქვეა თარიღიც.

ამ ინსტანციების გავლის შემდეგ დოკუმენტი ძალაში შედიოდა და ამა თუ იმ ციხეში განლაგებული ჯარის ნაწილებისათვის შესანახად განკუთვნილი თანხა ხაზინიდან გაიცემოდა.

ასეთი არზები, ქუთაისის ციხის შესახებ გაცემული, ასობით ინახება ბულგარეთის არქივში. ამ ტიპის დოკუმენტების მიხედვით, შესაძლებელი ხდება როგორც ოსმალეთის საფინანსო უწყების სტრუქტურის შესწავლა, ასევე ამა თუ იმ რეგიონში ოსმალთა შეიარაღებული ძალების განლაგების გათვალისწინება გარკვეულ პერიოდებში, მათი რაოდენობის დადგენა და საერთოდ ოსმალთა პოზიციების შესწავლა დაპყრობილ ტერიტორიებზე. მსგავსი დოკუმენტები საუკეთესო წყაროა სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის არაერთი საკითხის გასათვალისწინებლად.

## № 1

1707—1708 წწ. არზა ქუთაისის ციხეში მყოფი თოფჩიების პროდუქტების თანხის გაცემის თაობაზე. დოკუმენტი ნაწერია მოთეთრო დაობებულ-გაშავებულ ქაღალდზე შავი მელნით. კიდურები დაზიანებული აქვს. ზომა: 15,7×22,9 სმ. შიფრი: НБКМ. ფონდი: 1. არქ. ერთ. 8695.

(١) دولتلو و عنايتلو سلطانم حضرتلری خاك پای اوتسدن (٢) حالیا كوتاتیس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان در
گاه عالی طوبجیلری نفراتلرینك مستحق (٣) اولدقلری ... ذخیره بهالری صدقه و
احسان بیورلمسی باینده (٤) امر فرمان دولتلو و عنايتلو سلطانم حضرتلرینکدر

بنده

محفلی

جماعت بعض طوبجیان در گاه عالی در محافظهٔ قلعهٔ كوتاتیس

نفر ١٧

ذكر اولنان اون یدی نفر ... محافظه ... دفترده مسطور و مقیددر

امر فرمان دولتلو و عنايتلو سلطانم حضرتلرینكدر فی ٢٥ ... سنه ١١١٩

بر موجب دفتر مشابه

حنطه بهالرى تحرير طوبجيان در كاه عالي در محافظه قلعه كرتاس [illegible]
الى غايه [illegible] الاخر سنه [illegible] تذكره داده في ١٧ شوال سنه ١١٩

[illegible]

في شهر
حنطه كيله ٥٨
في شهر ٦
كيل ٥١ في ٤٠
اقچه ٢٠٤٠

واجب عن غره رجب سنه ١١١٩ الى غايه ذى الحجه سنه مزبوره مده
نفر ١٧
في شهر
حنطه كيل ٥٨
في شهر ٦
كيل ٥١ في ٤٠
اقچه ٢٠٤٠

يوز اون طقوز محرم غره سندن التى ايلق حنطه بهاسنى بوندن اقدم تذكره ويرلموب سنه مزبوره
تموز التى ايلقلرى بهاى حساب اولندقده بالكز ايكى بيك فرق اقچه ايدر فرمان سلطانمكدر
في ٢٠ ذى القعده سنه ١١١٩

(١) عرض بنده لرى بودر كه (٢) پياده مقابله سندن در كنار اولنديغى اوزره كرتاس (٣) قلعه سى
محافظه سنده اولان اون يدى نفر در كاه عالى (٤) طوبجيلرينك يوز اون طقوز محرمى غره سندن التى
ايلق (٥) تعيره بهالر بهون حساب اولنديغى اوزره بالكز ايكى بيك (٦) فرق اقچه يه تذكره سى ويرلمك
يكى باش محاسبه دن در كنار (٧) اولنمقدر سنه مزبوره رجبى غره سندن ذى الحجه اخرينه (٨) دكين
تموز المقتضا ايدن التى ايلقلر بهون يحيى مرضحال (٩) ايدرلر در كنارى موجبنجه يوز اون طقوز
سنه سنده (١٠) تموز فلان التى ايلقلر بهون يحيى تذكره سى ويرلمك (١١) بابنده فرمان عاليلرى
[illegible] فرمان [illegible] (١٢) سلطانم حضرتلرينكدر

باش محاسبه دن حساب

صح
تلخيص موجبنجه تذكره سى ويرلمك بيورلدى
٢٥ ذى القعده سنه ١١٩

صح
تذكره سى [illegible] داده في ٢٥ ذى القعده سنه ١١١٩

[illegible]

ჩემო ბედნიერო და კეთილისმყოფელო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ამჟამად ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების[1] ჯარისკაცთა კანონიერად არსებული 1119 წლის[2] პროდუქტების თანხის წყალობისა და ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება (და) ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და კეთილისმყოფელო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი:

ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ზოგიერთი ჯამაათის შესახებ:

ჯარისკაცი — 17

აღნიშნული 17 ჯარისკაცი, არსებული წესის თანახმად, ხსენებულ მცველებად რეგისტრირებულია (და) ამჟამად დავთარში ჩაწერილი და აღნიშნულია. ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ და მოწყალე სულთანზეა. 1119 წლის 20 ზილ-კაადე[3].

დევთერი მუკაბელეს (უწყების) თანახმად.

ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების პროდუქტებისათვის ხორბლის თანხა გადაკვეთილია 1119 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ჯემაზი ულ-ახირის მიწურულამდე[4]. თესქერე გაიცა (1)119 წლის 17 შევალს[5].

ჯარისკაცები — 17

თვეში·

ხორბალი: 8,5 ქილა.

6 თვეში: 51 ქილა. თითოეული (ქილა) — 40 (ახჩაა).

ახჩა — 2040

სარგო 1119 წლის რეჯების დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[6]:

ჯარისკაცები — 17

თვეში:

ხორბალი — 8,5 ქილა.

6 თვეში: 51 ქილა, თითოეული (ქილა) 40 (ახჩაა).

ახჩა — 2040

[1]119 წ. მუჰარემის დასაწყისიდან ექვსი თვის განმავლობაში დახარჯული ხორბლის თანხის შესახებ ამასწინათ თესქერე გაიცა. ხსენებულ წელს, როდესაც მთლიანად ექვსი თვის დანახარჯი დაანგარიშებულ იქნა, თანხამ მხოლოდ 2040 ახჩა შეადგინა. ფირმანი სულთანზეა. 1119 წლის 20 ზილ-კაადე.

---

[1] თოფჩიები — ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სახეობის — კაფი კულუს— შემადგენელი რაზმები — მეზარბაზნეები.

[2] 1119 წელი — 4. 4. 1707 — 22. 3. 1708.

[3] 1119 წლის 20 ზილ-კაადე — 13. 2. 1708.

[4] 1119 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ჯემაზი ულ-ახირის მიწურულამდე — 4. 4. 1707 — 27. 9. 1707.

[5] (1) 119 წლის 17 შევალი — 11. 1. 1708.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ფიადე მუკაბელეს (უწყების) მიერ არეზე მინაწერის თანახმად ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი 17 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების (1)119 წ. მუჰარემის დასაწყისიდან ექვსი თვის პროდუქტების თანხა დაანგარიშებულ იქნა, რამაც მხოლოდ 2040 ახჩა შეადგინა. ამაზე გაცემული თესქერე მთავარი მოანგარიშის მიერ არეზე იქნა მიწერილი. ხსენებული წლის რეჯების დასაწყისიდან ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე მთლიანად გადაკვეთილი ექვსი თვის თანხის შესახებაც არზუჰალი გაიცა. არეზე მინაწერის თანახმად (1)119 წლიდან დანარჩენ ექვს თვეზედაც თესქერეს ბოძების საკითხზე დიდებული ფირმანი თუ გამოიცემა, ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.

მთავარმა მოანგარიშემ დაიანგარიშოს!

სწორია! თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება. (1)119 წლის 25 ზილ-კაადე[7].

სწორია! ხაზინის თესქერე გაიცა. 1119 წ. 28 ზილ-კაადე[8].

მეორე გვერდზე:

| |
|---|
| 88,5 |
| 6 |
| 51,5 |
| 4 |
| 2040 |

№ 2

1710—1711 წწ. არზა ქუთაისის ციხეში მყოფი ოსმალთა ლაშქრის შესანახი თანხის გაცემის თაობაზე. დოკუმენტი დაწერილია გამუქებულ და გაჰუჰყიანებულ ქაღალდზე შავი მელნით. ზომა 15,5+21,5 სმ. შიფრი: HBKM. ფონდი: 1ა. არქ. ერთ. 10411ა. ფ. 2.


هو
(١) دولتلو و سعادتلو سلطانم حضرتلری ساغ اولسون (٢) حالیا کوتاتس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان در
کاه عالی طوبجیلری (٣) قوللرینک بیک یوز یکرمی ایکی سنه‌سی محسوب اولمق اوزره مستحقلر (٤)
اولدقلری مواجبلری احسان بیورلمق بابنده فرمان سلطانکدر
معنی
مواجب بعض طوبجیان در کاه عالی که محافظه کوتاتس
نفر ١٢ یوم ١٣٦ المقرر اقچه ١٥١٢٢
مذکورلر وجه مشروح اوزره صادر اولان فرمان عالی موجبنجه بیک یوز یکرمی ایکی سنه‌سی مواجبلری
مستحقلردر امر فرمان دولتلو و سعادتلو سلطانم حضرتلرینکدر
بر موجب دفتر مقابله

---

[6] 1119 წლის რეჯების დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 28. 9. 1707 — 22. 3. 1708.

[7] (1) 119 წლის 25 ზილ-კაადე — 17. 2. 1708.

[8] 1119 წლის 28 ზილ-კაადე — 20. 2. 1708.

فی ١٢ ربیع الاخر سنه ١١٢٢

درت قسط اجمال وریلمه

اجمال داده بدست چاوشا جماعت مزبوره

فی ٢٤ جمادی الاول سنه ١١٢٢

١٧١
٨٥
―――
٨٥٥
١٣٦٨
١٣٦٨
―――
١٥١٣٣
―――
٣٠٢٦٦
―――
٦٠٥٣٢

ი ს (ა ლ ა პ ი) შ ე ე წ ი ო ს

ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ამჟამად ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების ჯარისკაცთა 1122 წლის[1] ანგარიშის მიხედვით, კანონიერად გადაკვეთილ სარგოთა ბოძების საკითხზე ბრძანება სულთანზეა. შესაბამისი ადგილი:

ქუთაისის ციხეში მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთი თოფჩის სარგო:

ჯარისკაცი — 17

დღე — 176

გადაკვეთილია — 15133 ახჩა.

ზემოთ აღნიშნული არსებული წესის მიხედვით გამოცემული მაღალი ფირმანის თანახმად, 1122 წ. მასარის[2] სარგო კანონიერია. ბრძანება (და) ფირმანი თქვენზეა, ჩემო ბედნიერო და პატიოსანო სულთანო.

დევთერი მუკაბელეს (უწყების) თანახმად[1]

1122 წ. რები ულ-ახირის 12[3]. ოთხი კვარტლის იჯმალი[4] გაიცეს.

იჯმალი ხელზე ებოძა ხსენებული ჯამაათის ჩაუშებს. 1122 წლის ჯემაზი ულ-ეველის 24-ს[5].

(მეორე გვერდზე):

171
85
―――
855
1368
1368
―――
15133
―――
30266
―――
60532

---

[1] 1122 წელი — 1710. 2. 3. — 1711. 18. 2.

[2] 1122 წლის მასარი — 1710 წლის მარტი, აპრილი მაისი.

[3] 1122 წლის რები ულ-ახირის 12 — 1710 წლის 10 ივნისი.

[4] იჯმალი — ჯამი, რეზიუმე, სია, აღწერა, ანგარიში.

1722—1723 წწ. არზა ქუთაისის ციხეში მყოფი ჯებეჯიების შესანახი ხორბლის თანხის წყალობის თაობაზე. დოკუმენტი ნაწერია თეთრ ქაღალდზე შავი მელნით. ზომა: 14,6+22,1 სმ. შიფრი: НБКМ. ფონდი: 312-, არქ. ერთ. 22*.

هو

(۱) دولتلو سعادتلو سلطانم حضرتلری صاغ اولسون (۲) کرتاش قلعه‌سی محافظه‌سنده اولان درگاه عالی
جبه‌جیلرینک بر اولوز برسنه‌سی حنطه بهالری (۳) صدقه و احسان بیورلمق بابنده فرمان دولتلو
سعادتلو سلطانم حضرتلرینکدر

بنده‌م (مزبور)

معلی

عن جماعت بعض جبه‌جیان بر درگاه عالی در محافظهٔ قلعهٔ کوتاتس
نفرا ۲۵
ذکر اولنان بکرمی بش نفر وجه مشروح اوزره کوتاتس قلعه‌سی قید یله مقیدلردر امر فرمان دولتلو
سلطانمکدر فی ۵ ذی القعده سنه ۱۱۳۵
بر موجب دفتری مقابله
باقی محاسبه‌دن در کنار حساب اوسنه
تشخیص
واجب عن غرهٔ محرم سنه ۱۱۳۵ الی غایهٔ ذی الحجه سنهٔ منه بر موجب در کنار مقابلهٔ بهاده
نفرا ۲۵
فی شهر
حنطه کیل ۱۲۵
فی سنه
کیل ۱۵۰ فی ۴۰
اقچه ۶۰۰۰
بجهت بهای حنطه برای جبه‌جیان درگاه عالی در محافظهٔ قلعهٔ کوتاتس واجب عن غرهٔ محرم سنه ۱۱۳۴
الی غایهٔ ذی الحجه سنهٔ منه تذکره داده ۲۲ ذی القعده سنه ۱۱۳۴
نفرا ۲۵
فی شهر حنطه
کیل ۱۲۰
فی سنه
کیل ۲۲۰ فی ۴۰
اقچه ۸۸۰۰

* 1122 წლის ჯემაზი ულ-ევველის 24 — 1711 წლის 21 ივლისი.

بناءً محافظه‌سنده اولان درگاه عالی جبه‌جیلرینك یوز اوتوز درتنجی سنه‌سی حنطه بهالرینه خزینه تذکره‌سی
... ایله در کناری موجبنجه یکرمی بش نفرك یوز اوتوز بش محرمی غره‌سندن بر سنه‌لك
حنطه بهالری حساب اولندقده یالکز التی بیك اقچه ایدر فرمان سعادتلو سلطانم حضرتلرینکدر
فی ١٠ ذی القعده سنه ١١٣٥

(١) عرض بنده‌لریدر که (٢) کوتاتس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان یکرمی بش نفر درگاه عالی (٣) جبه‌جیلرینك
... یوز ... سنه‌سی حنطه بهالری ویرلمك (٤) ایچون عرضحال ایدرلر مقابله در کناری موجبنجه یوز
... (٥) سنه‌سی محرمی غره‌سندن بر سنه‌لك حنطه بهالری (٦) حساب اولندیغی اوزره التی بیك
اقچه ... تذکره‌سی (٧) ویرلمك بابنده فرمان دولتلو سعادتلو سلطانم حضرتلرینکدر

صح

... موجبنجه تذکره‌سی ویرلمك بیورلدی
١١ ربیع الاول سنه ١٣٥
تذکره خزینه داده
فی ١٢ ربیع الآخر سنه ١١٣٥

## ი ს (ა ლ ა ჰ ი) შ ე ე წ ი ო ს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის (1)135 წლის[1] ხორბლის თანხის წყალობისა და ბოძების ბრძანების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

ხსენებული მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ქუთაისის ციხის მცველების, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ზოგიერთი ჯამაათის შესახებ:

ჯარისკაცები — 25

არსებული წესის თანახმად, აღნიშნული 25 ჯარისკაცი ქუთაისის ციხეშია რეგისტრირებული. ბრძანება და ფირმანი ბედნიერი სულთნისაა. (1)135 წლის 8 ზილ-კაადე[2].

იხილეთ მთავარი მოანგარიშის მინაწერი არეზე და დაიანგარიშეთ!

თელხისი

ფიადე მუკაბელეს (უწყების)[3] მიერ არეზე მინაწერის მიხედვით, გადაკვეთილია (სარგო) 1135 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[4].

ჯარისკაცები — 25.

თვეში: ხორბალი — 12,5 ქილა.

წელიწადში — 150 ქილა, თითოეული (ქილა) — 40 (ახჩაა).

ახჩა — 6000.

---

[1] (1) 135 წელი — 1722. 12. 10. — 30. 9. 1723.

[2] (1)135 წლის 8 ზილ-კაადე — 1723 წლის 10. 8.

[3] ფიადე მუკაბელე — ოსმალეთის საფინანსო სისტემის ერთ-ერთი უწყება, განყოფილება.

[4] 1135 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 1722 წლის 12 ოქტომბერი — 1723 წლის 30 სექტემბერი.

ქუთაისის ციხის მცველების, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის ხორბლის თანხის გადაკვეთის შესახებ 1134 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[5] თესქერე გაიცა 1134 წლის 23 ზილ-კაადეს[6].
ჯარისკაცები — 35
თვეში: ხორბალი — 17,5 ქილა
წელიწადში: 210 ქილა, თითოეული (ქილა) 40 (ახჩაა).
ახჩა — 8400.

ქუთაისის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების (1)134 წლის[7] ხორბლის თანხის შესახებ გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. ველზე მინაწერის მიხედვით, 25 ჯარისკაცისათვის (1)135 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ერთი წლის ხორბლის თანხამ, როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 6000 ახჩა შეადგინა. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. 1135 წლის 14 ზილ-კაადე[8].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი 25 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების (1)135 წლის ხორბლის თანხის საბოძებლად არზუჰალი არსებობს. შესაბამისი უწყების ველზე მინაწერის თანახმად, (1)135 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ერთი წლის ხორბლის თანხის დაანგარიშების საფუძველზე შეადგინა 6000 ახჩა. თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.
სწორია!
თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს! ბრძანება.
(1)135 წლის 11 რები ულ-ეველი[9].
ხაზინის თესქერე გაიცა. 1135 წლის 12 რები ულ-ახირი[10].

## № 4

1725—1726 წწ. არზა ქუთაისის ციხეში მყოფი იანიჩრების შესანახი თანხის გაცემის შესახებ. ნაწერია თეთრ, დაობებულ, გაყვითლებულ და გაშავებულ ქაღალდზე შავი მელნით. ზომა: 19,2×26,2 სმ. შიფრი: НБКМ. ფონდი: 1. არქ. ერთ. 14023. ფ. 19.

هو

(۱) دولتلو سعادتلو سلطانم حضرتلری صاغ اولسونلر (۲) کوتاتس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان درکاه عالی
یکیچریلرینک یوز اوتوز سکز سنه‌سنک مستحق اولدقلری (۳) مواجبلری حسابی بیورلمسین یا بنده امر و
فرمان دولتلو سعادتلو سلطانم حضرتلرینکدر

بنده

علی

جماعت یکیچریان درکاه عالی که در محافظت قلعه کوتاتس در واجب مصر سنه ۱۱۳۸

---

[5] 1134 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 22. 10. 1721 წ. — 11. 10. 1722.
[6] 1134 წლის 23 ზილ-კაადე — 1722 წლის 4 სექტემბერი.
[7] (I)134 წელი — 22. 10. 1721. — 11. 10. 1722.
[8] 1134 წლის 15 ზილ-კაადე — 16. 8. 1723.
[9] (I)135 წლის 11 რები ულ-ევველი — 20. 12. 1722.
[10] 1135 წლის 12 რები ულ-ახირი — 20. 1. 1723.



ის (ალაჰი) შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების (1)138 წლისათვის[1] კანონიერად განკუთვნილი სარგოთა ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენზეა ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ქუთაისის ციხეში მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთ ჯამაათს 1138 წლის მასარის[2] სარგო ეკუთვნის.

არსებული წესის თანახმად. ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების 1138 წლის მასარის სარგო კანონიერია.

თქვენი მონა-მორჩილის წინადადება ისაა, რომ ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების (1)138 წლის სარგოთა გასაცემად რადგანაც არზუჰალი არსებობს, ოთხი კვარტლის სარგოთა იჯმალის გაცემის საკითხზე ბრძანების გაცემა თქვენზეა, ჩემო ბედნიერო (და) პატივმოსილო სულთანო.

სწორია!
თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს! ბრძანება.
(1)138 წლის რები ულ-ევველის 8[3].
იჯმალი ხელზე ებოძა ალი ფაშას. 1138 წლის რები ულ-ახირის 8[4].

---

[1] (I)138 წელი — 1725. 9. 9. — 1726. 28. 8.
[2] 1138 წლის მასარი — 1725 წლის სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი.
[3] (I)138 წლის რები ულ-ევველის 8 — 1725 წლის 14 ნოემბერი.
[4] 1138 წლის რები ულ-ახირის 8 — 1725 წლის 14 დეკემბერი.

## № 5

**1730—1731 წწ. არზა ქუთაისის ციხის დასაცავად დანიშნული ჯებე-ჯიების შესანახი თანხის გაცემის შესახებ. ნაწერია მოთეთრო ქაღალდზე შავი მელნით. ზომა: 19×26 სმ. შიფრი: НБКМ. ფონდი: 313ა. არქ. ერთ. 246ა.**

(١) يوزشنو سعادتلو سلطانم حضرتلري صاغ اولسون (٢) كوتاتس قلعه‌سي محافظه‌سنه مامور درگاه عالي
جبه‌جيلرينك بيك يوز قرق اوچ سنه‌سي مستحق (٣) اولندقلري بزر سنه‌لك تذكره‌لري احسان بيورلمق بابنده
امر فرمان دولتلو (٤) سعادتلو سلطانم حضرتلرينكدر
بنده م (مزبور)

محلي
عن جماعت جبه‌جيان درگاه عالي در محافظهٔ قلعهٔ كوتاتس
نفر ٢٤
ذكر اولنان يكرمي درت نفر وجه محروم اوزره كوتاتس محافظه‌سي قيد ايله مقيدلردر امر فرمان دولتلو
سلطانمكدر

في ٢٦ جمادي الاول سنه ١٤٢

بر موجب دفتر خزينه مقابله
باقي محاسبه در كنار اولنمه

بجهت بهاء حنطه به اغا جبه‌جيان درگاه عالي در محافظت قلعهٔ كوتاتس واجب عن غرهٔ محرم سنه ١١٤٢
الي غايهٔ ذي الحجه سنه منه تذكره داده في ٣ جمادي الاخر سنه ١١٤٢ واجب محرم سنه ١١٤٣ الي غايهٔ
ذي الحجه سنه منه بر موجب در كنار مقابلهٔ بياده

| | |
|---|---|
| نفر ٢٤ | نفر ٣٢ |
| في شهر | في شهر |
| حنطه كيل ١٢ | حنطه كيل ١٦ |
| في سنه | في سنه |
| كيل ١٤٤ في ٤٠ | كيل ١٩٢ في ٤٠ |
| اقچه ٥٧٦٠ | اقچه ٧٦٨٠ |

تلخيص

وجه محروم اوزره كوتاتس قلعه‌سي محافظه‌سنده اولان درگاه عالي جبه‌جيلرينك بيوز قرق ايكي سنه‌سي حنطه
بهالرينه خزينه تذكره‌سي ويرلديكي مقيددر بياده مقابله‌سي در كناري موجبنجه حالا محافظهٔ مزبوره‌ده
اولان يكرمي درت نفرك بيوز قرق اوچ سنه‌سي حنطه بهالري حساب اولندقده بالكز بيك يديبوز التمش
اقچه ايدر فرمان سعادتلو سلطانم حضرتلرينكدر
في ٢٩ جمادي الاول سنه ١١٤٢

(١) عرض بنده‌لري بودر كه (٢) كوتاتس قلعه‌سي محافظه‌سنده اولان درگاه عالي (٣) جبه‌جيلرينك بيوز قرق
اوچ سنه‌سي حنطه بهالري (٤) ويرلمك ايچون عرضحال ايدرلر حساب اولندقده (٥) بيك يديبوز التمش
اقچه ايتمكله تذكره‌سي ويرلمك (٦) بابنده فرمان دولتلو عنايتلو سلطانم حضرتلرينكدر

صح
تلخيص موجبنجه تذكره‌سي ويرلمك بيورلدي
٥ جمادي الاخر سنه ١٤٣
تذكره داده في ٦ جمادي الاخر سنه ١٤٣

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად ჰყოს თქვენი უდიდებულესობა. ქუთაისის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეფო კარის ჯებეჯიების[1] 1143 წლისათვის[2] კანონიერად გადაკვეთილი თითო წლით პროდუქტების ბოძების საკითხზე ბრძანება (და) ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო (და) პატივმოსილო სულთანო.

ხსენებული თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ზოგიერთი ჯამაათის შესახებ:

ჯარისკაცი — 24.

აღნიშნული 24 ჯარისკაცი არსებული წესის თანახმად, ქუთაისის მცველებად არიან რეგისტრირებულნი. ბრძანება (და) ფირმანი ბედნიერ სულთანზეა.

(1)143 წლის ჯემაზი ულ-ეველის 26[3].

ხაზინის დეფთერი მუკაბელეს (უწყების) თანახმად!

მთავარმა მოანგარიშემ თავისი მოსაზრებები წარმოადგინოს!

ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ალას ხორბლის ფასი სარგოდ გადაეკვეთა 1142 წ. მუჰარემის დასაწყისიდან[4] ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[5]. თესქერე გაიცა 1143 წლის ჯემაზი ულ-ახირის 3-ში[6]. სარგო განსაზღვრულია 1143 წლის მუჰარემის დასაწყისიდან[7] ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[8].

ფიადე მუკაბელეს (უწყების) თანახმად!

ჯარისკაცები — 24. თვეში ხორბალი — 12 ქილა. წელიწადში — 144 ქილა. თითოეული ქილა 40 (ახჩაა). (სულ) 5760 ახჩაა.

ჯარისკაცები — 32. თვეში: ხორბალი — 16 ქილა. წელიწადში — 196 ქილა. თითოეული ქილა 40 ახჩაა. (სულ) 7680 ახჩაა.

თელხისი

არსებული წესის თანახმად, ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების (1)142 წლის[9] ხორბლის თანხის (შესახებ) გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. ფიადე მუკაბელეს (უწყების) მინაწერის თანახმად ამჟამად ზემოხსენებულის დასაცავად მყოფი 24 ჯარისკაცის (1)143 წლის ხორბლის თანხა როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 5760 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო სულთანო.

---

[1] ჯებეჯიები — ოსმალთა ლაშქრის ერთ-ერთი სახეობა, რომლებიც ძირითადად სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ. ესენი იყვნენ მეიარაღეები, მაბჯრეები, რომელთა მოვალეობა იყო იარაღის დამზადება, მათი დაცვა, გადაზიდვა და განაწილება. ჯებეჯიების მეთაური იყო ჯებეჯი-ბაში. (I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devleti Teşkilatından Kapukulu Ocakları. II. Ankara, 1944, გვ. 3—31. Ziya Karamursal, Osmanlı Mali Tarihi Hakkinda Tetkikler, Ankara. 1940, გვ. 130, 148).

[2] 1143 წელი — 17. 7. 1730. — 5. 7. 1731.

[3] 1143 წლის ჯემაზი ულ-ეველის 26 — 5. 12. 1730.

[4] 1142 წლის მუჰარემის დასაწყისი — 27. 7. 1729.

[5] (1142 წ.) ზილ-ჰიჯეს მიწურული — 17. 6. 1730.

[6] 1143 წლის ჯემაზი ულ-ახირის 3. — 14. 12. 1730.

[7] 1143 წლის მუჰარემის დასაწყისი — 17. 7. 1730.

[8] (1143 წ.) ზილ-ჰიჯეს მიწურული — 7. 6. 1731.

[9] 1142 წელი — 27. 7. 1729. — 16. 7. 1730.

1143 წ. 29 ჯემაზი ულ-ეველი[10].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების (1)143 წლის ხორბლის თანხის გაცემის შესახებ არზუჰალი წარადგინონ. როდესაც დააანგარიშებინეს, 5760 ახჩა შეადგინა. თესქერეს გაცემის შესახებ ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო (და) მოწყალეო სულთანო.

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს! ბრძანება. (1)143 წ. ჯემაზი ულ-ახირის 5[11].

თესქერე გაიცა (1)143 წ. ჯემაზი ულ-ახირის 6-ს[12].

## № 6

1732—1733 წწ. არზა ქუთაისის ციხეში მყოფი იანიჩრებისათვის ჩოხის თანხის ბოძების თაობაზე. დოკუმენტი ნაწერია თეთრ, სქელ ქაღალდზე შავი მელნით. ზომა: 23,9×32,5 სმ. შიფრი: НБКМ. ОАК. 166. არქ. ერთ. 33.

هو

(۱) دولتلو سعادتلو سلطانم حضرتلری ساغ اولسون (۲) کوتاتیس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان درگاه عالی یکیچریلری قوللرینک امیر بیك یوز قرق بر سنه‌سی چوقه بهالری احسان (۳) و باقر سعاسیدن تذکره اولنمق بابنده امر فرمان دولتلو سعادتلو سلطانم حضرتلرینکدر

بنده‌لری

صحلی

مالی ذمستانیه یکیچریان درگاه عالی کی در محافظه قلعه کوتاتیس بوده اند عن اول اربعین سنه ۱۱۴۴ الی اربعین سنه ۱۱۴۵

باراتی عدد ۴۰۶

وجه مشروح اوزره کوتاتیس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان درگاه عالی یکیچریلری درتیوز بر نفر اولوب بیك یوز قرق درت اربعینندن بیك یوز قرق بش اربعینه گلنجه بالنفر درتیوز بر باراتی چوقه مستحقلردر

فرمان دولتلو و سعادتلو سلطانم حضرتلرینکدر

حساب اولنمه

بجهت بهاء ذمستانیه یکیچریان در درگاه عالی در محافظه قلعه کوتاتیس واجب عن اول اربعین سنه ۱۱۴۳ الی اول اربعین سنه ۱۱۴۴ تذکره داده فی ۲۹ جمادی الاول سنه ۱۱۴۴

نفر ۳۲۹

چوقه باراسی

ثوب ۳۲۹ فی ۲۴۰

اقچه ۷۸۹۶۰

واجب عن اول اربعین سنه ۱۱۴۴ الی اول اربعین سنه ۱۱۴۵

نفر ۴۰۱

چوقه باراسی

---

[10] 1143 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი — 10. 12. 1730.

[11] (1)143 წ. ჯემაზი ულ-ახირის 5 — 16. 12. 1730.

[12] (1)143 წ. ჯემაზი ულ-ახირის 6 — 17. 12. 1730.

[illegible] فی ۱۲۷ [illegible]

[illegible]

کوتاتیس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان درگاه عالی یکیچریلرینک سنه سبقده قشلاقی بهاسیچون خزینه

تذکره‌سی ویرلدیکی مقیددر یکیچری کاتبی در کناری موجبنجه یوز قرق درت سنه‌سی اربعیننده‌ن یوز قرق

بش سنه‌سی اربعینی سونه وارنجه قشلاقی بهاسی فرمان بیورلدیکی اوزره حساب اولندقده بالبکر طقسان

التی بیک ایکی یوز قرق اقچه ایدر فرمان دولتلو سعادتلو سلطانمکدر

فی ۲۱ ربیع الاخر سنه ۱۱۴۵

تلخیص

(۱) عرض بنده‌لریدر که (۲) کوتاتیس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان درگاه عالی یکیچریلرینک قرق درت سنه‌سی

(۳) اربعیننده‌ن قرق بش سنه‌سی اربعینه کلنجه

قشلاقی بهالری اعطا (٤) بیورلمق ایچون عرضحال‌لر یکیچری کاتبی در کناری موجبنجه سنه مزبوره

(٥) قشلاقی بهالری طقسان التی بیک ایکی یوز قرق اقچه ایله‌یکی حساب (٦) اولنمغله مبلغ مذکورک

تذکره‌سی ویرلمک بابنده فرمان دولتلو سعادتلو سلطانم حضرتلرینکدر

صح

تلخیص موجبنجه تذکره‌سی ویرلمک بیورلدی

۲۱ ربیع الاخر سنه ۱۱۴۵

تذکره داده

۲۵ ربیع الاخر سنه ۱۱۴۵

٤٠١
٢٤

---

٩٦٢٤
١٠

---

٩٦٢٤٠

ი ს (ა ლ ა ჰ ი) შ ე ე წ ი ო ს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ჯარისკაცებისათვის ამ 1145 წლის[1] ჩოხის თანხის ბოძებისა და მთავარი მოანგარიშის მიერ თესქერეს ბოძების საკითხზე ბრძანება (და) ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთ იანიჩართა გამოსაზამთრებელი ნივთების შესახებ 1144 წლის ერბაინის[2] დასაწყისიდან[3] 1145 წლის ერბაინამდე[4].

ბარანი[5] — 401.

---

[1] 1145 წელი — 24. 6. 1732. — 13. 56. 1733.

[2] ერბაინი — ზამთრის ყველაზე ცივი დღეების (40 დღის) სახელწოდება, რომელიც 21 დეკემბრიდან 29 იანვრამდე გრძელდებოდა.

[3] 1144 წლის ერბაინის დასაწყისი — 1. 12. 1731.

[4] 1145 წლის ერბაინი — 18. 12. 1732.

[5] ბარანი — სპეციალური ქსოვილისაგან დამზადებული მოსასხამის ან ქსოვილის გარკვეული სახეობის სახელწოდება.

არსებული წესის თანახმად, ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრები 401 ჯარისკაცია. 1144 წ. ერბაინიდან 1145 წ. ერბაინამდე მხოლოდ 401 ბარანის ჩოხის (გაცემაა) კანონიერი. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

დაიანგარიშეთ!

ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხის შესახებ სარგო 1143 წლის ერბაინის დასაწყისიდან[6] 1144 წლის ერბაინის დასაწყისამდე. თესქერე გაიცა 1144 წლის 24 ჯემაზი ულ-ეველს[7].
ჯარისკაცები — 379.
ბარახის ჩოხა:

თოფი[8]: 379, თითოეული (თოფი) 240 (ახჩაა).
ახჩა — 90960.

სარგო: 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1145 წლის ერბაინის დასაწყისამდე:
ჯარისკაცები — 401
ბარანის ჩოხა:

თოფი — 401, თითოეული (თოფი) 240 (ახჩაა).
ახჩა — 96240.

ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების გასული წლის გამოსაზამთრებელი თანხისთვის გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. იანიჩართა ქათიბის მიერ ველზე მინაწერის თანახმად (1)144 წლის ერბაინიდან (1)145 წლის ერბაინის მიწურულამდე გამოსაზამთრებული თანხა, გაცემული ფირმანის თანახმად როდესაც დააიანგარიშეს, მხოლოდ 96240 ახჩა შეადგინა. ფირმანი ჩემს ბედნიერ (და) პატივმოსილ სულთანზეა.

1145 წლის 21 რები ულ-ახირი[9].
თელხისი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ქუთაისის ციხის მცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართათვის (1)144 წლის ერბაინიდან (1)145 წლის ერბაინამდე გამოსაზამთრებელი თანხის ბოძების ბრძანების შესახებ არზუჰალი არსებობს. იანიჩართა ქათიბის ველზე მინაწერის თანახმად, ხსენებულ წელს გამოსაზამთრებელი თანხა 96240 ახჩა რადგანაც იქნა დაანგარიშებული, აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.
სწორია!

---

[6] 1143 წლის ერბაინის დასაწყისი — 12. 12. 1730.
[7] 1145 წლის 24 ჯემაზი ულ-ეველი — 12. 11. 1732.
[8] თოფი — ქსოვილის საზომი ერთეული.
[9] 1145 წლის 31 რები ულ-ახირი — 11. 10. 1732.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს! ბრძანება. (1)145 წლის 21 რები ულ-ახირი. თესქერე გაიცა. 1145 წლის 25 რები ულ-ახირი[10].
მეორე გვერდზე:

```
  401
   24
 ----
 1604
 802
 ----
 96240
```

Н. Н. ШЕНГЕЛИЯ

## ОСМАНСКИЕ АРЗЫ О КУТАИССКОЙ КРЕПОСТИ


Резюме

В статье публикуются османские арзы с грузинским переводом и примечаниями (вместе с факсимиле) первой четверти XVIII века. Документы хранятся в Ориенталистическом отделе Народной библиотеки им. Кирилла и Мефодия в г. Софии. Они содержат интересные сведения о положении османских войск в Кутаисской крепости, об их численности, вооружения, финансировании и т. д.


---

[10] 1145 წლის 25 რები ულ-ახირი -- 15. 10. 1732.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6